

ანელი ემელეუსი

ჰელსინკის უნივერსიტეტი

გადამუშავებულია თუ არა დავითისა და გოლიათის ამბავი?

კარგად ცნობილი დისკუსია დავითისა და გოლიათის ამბის განსხვავებული ვერსიების შესახებ ძირითადად იმ საკითხს შეეხება, თუ რომელი ტექსტია თავდაპირველი — სეპტუაგინტას მოკლე თუ მასორეტულიტექსტის ვრცელი ვერსია? მოსაზრება, რომ უპირატესობა მოკლე ტექსტს უნდა მიენიჭოს, სულ უფრო და უფრო იმკვიდრებს ადგილს. ეს შეხედულება გახლავთ ჩემი მოხსენების ამოსავალი წერტილიც. საკითხი, რომლის შესახებაც ვიმსჯელებთ, ასე უდერს: რა იყო მასორეტული ვერსიის გავრცობის საფუძველი? მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ იგი იყო იმ ალტერნატიული ამბის ნაწილი, რომელიც პირველი მეფეთას პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად არსებობდა (მაგ., ლუსტი). განსხვავებული თეორია წარმოადგინეს A.G. Auld-მადა C.Y.S. Ho-მ. მათითქმით, ვრცელი ვარიანტი წარმოშვა საულის შესახებ არსებული თხრობების საფუძველზე, რათა უკეთ წარმოჩენილიყო დავითის დიდებულება და ბრწყინვალება. როგორც ალუდიდაპო ვარაუდობენ, ალტერნატიულ ამბავს არასოდეს უარსებია და მათ მეც ვეთანხმები. თუმცა შევეცდები უფრო დამაჯერებლად ავხსნა მოტივები და რედაქტორთა ტექნიკა, რომელთა დანახვაც გავრცობილ ვერსიაშია შესაძლებელი.

